პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ორგან центрального и тбилисского комитетов кп (б) грузии и советов депутатов трудящихся грузинской ССР

ოთხშაბათი
23 ოქტომბერი
1940 წ.
№ 247 (5948)
ფასი 10 კაპ.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებას კონკრეტული საქმეებით ვუპასუხოთ

საქართველოს მშრომელები უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობის და მევენახეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ. ამ დადგენილებაში ნათლად მოსჩანს ის დიდი ზრუნვა, რომელსაც ხალხთა ბელადი მშობლიური **სტალინი,** ლენინ-სტალინის დიადი პარტია და მძლავრი საბჭოთა მთავრობა იჩენენ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისადმი.

ქართლელი კოლმეურნეები, ეცნობიან რა ქართლის რაიონების სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავების ამ სტალინურ პროგრამას, კისრულობენ ვალდებულებებს წარმატებით შეასრულონ პარტიისა და მთავრობის, ყველა დავალებანი. გორის, მცხეთის, ხაშურის, კასპის, თბილისის და სხვა რაიონებში კოლმეურნეთა ფართო მასები საერთო და საბრიგადო კრებებზე მსჯელობენ და სახვენ კონკრეტულ ღონისძიებებს დადგენილების განუხრელად გატარების უზრუნველსაყოფად.

გორის რაიონის კოლმეურნეობა „განთიადის“ წევრებმა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების გაცნობასთან დაკავშირებით გადაწყვიტეს უახლოეს ხანში შეუდგნენ სოფლის ახლო მდებარე იმ დაჭაობებული ფართობების დამრობას, რომლებიც დიდი ხნიდან გამოუყენებელი იყო. მცხეთის რაიონის სოფ. ძეგვის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს ვალდებულება ამ შემოდგომაზე გასწმინდონ უსარგებლო ბუჩქნარისა და ძეძვისაგან 100 ჰექტარი ფართობი და მომავლისათვის იგი ხეხილის, ვენახის, მარცვლეულისა და სხვა კულტურების გასაშენებლად, აგრეთვე სასოფლო გზების გასწვრივ 2 კილომეტრზე წელსვე დარგონ თუთის ხეები და ამით გააფართოვონ საკვები ბაზა საკოლმეურნეო მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარებისათვის.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განუხრელად შესრულების მოცანა ავალებს ქართლის რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა მასების ამ გაშლილ ინიციატივას, რათა მთლიანად იქნას გამოყენებული ადგილობრივი ხელშემწყობი ბუნებრივი პირობები სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ქართლი საქართველოს სამრეწველო მეხილეობის ძირითადი რაიონია. ქართველი **ხალხის** საამაყო შვილის ამხანაგ **ლ. ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით უკანასკნელი 9 წლის მანძილზე ხეხილის ნარგავთა ფართობი ქართლის რაიონებში სამჯერ და კიდევ მეტად გაიზარდა. დასახულია ამოცანა 1941-45 წლებში ხეხილის ნარგავთა ფართობი 16.873 ჰექტარიდან აყვანილ იქნას 45.000 ჰექტარამდე, ხოლო მისმა საერთო მოსავალმა სრული მსხმოიარობის პერიოდში მიაღწიოს 20 მილიონ ფუთს. ამ დავალების შესრულებისათვის ბრძოლა აქედანვე უნდა გაიშალოს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ხეხილის გაშენების საშემოდგომო გეგმის მაღალხარისხოვნად შესრულებასთან ერთად გავახაროთ მთელი ახალგაზრდა ნარგავი. ამ შემოდგომიდანვე უნდა შევუდგეთ აგრეთვე ბაღების სიძეჭრის მოკაპობას და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას მათს სრულ განადგურებამდე.

მთელი მუშაობა იმ მხრივ უნდა წარიმართოს, რომ თვითეულმა რაიონმა, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უზრუნველჰყოს მიმდინარე წელს მათზე მიცემული ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების მთლიანად შესრულება. ამჟამად თბილისის, მცხეთის, კასპის, გორის, ხაშურისა და ქარელის რაიონების კოლმეურნეობები ჩამორჩენილნი არიან საშემოდგომო თესვისა და მძრალად ხვნის გეგმების შესრულებაში. ხაშურის, ქარელის, გორისა და კასპის რაიონები, გარდა ამისა, ჩამორჩენენ შაქრის ჭარხლის მოსავლის აღებასა და ჩაბარებაში. ეს მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

მტკიცედ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხეხილის, მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურათა მაღალი მოსავლის მიღება 1941 წელს, რაც პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილებაშია გათვალისწინებული, ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად წესიერად ჩავატარებთ საშემოდგომო სამუშაოებს და მომზადებული შევხვდებით მესამე სტალინური ხუთწლედის მეოთხე წლის ბოლშევიკურ გაზაფხულს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დასახული ქართლის რაიონებში საკოლმეურნეო მეცხოველეობის შემდგომი განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი. ამოცანა ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ პრაქტიკულად მოვკიდოთ ხელი საქმეს, მოვაწყოთ პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრება, ავაგოთ ახალი და შევაკეთოთ ძველი სადგომები პირუტყვისათვის, მოვიმარაგოთ საკვები და დავწესოთ მტკიცე მეთვალყურეობა მის წესიერ მოვლაზე. არ უნდა დავუშვათ ისეთი მდგომარეობა, როგორც ამას თბილისის რაიონის სოფ. საცხენისის სტალინის სახელობის და დიღომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში აქვს ადგილი. ამ კოლმეურნეობებში ჯერაც არ შესდგომიან პირუტყვის სადგომი ბინების რემონტს და საკმაო რაოდენობით არც საკვები მოუმარაგებიათ.

ახალი სარწყავი არხების გაყვანის, წყალსადენების მოწყობის, ჰიდროელექტროსადგურების აგების და, საერთოდ, ქართლის რაიონების საკოლმეურნეო სოფლის კეთილმოწყობის დარგში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ითვალისწინებს მეტად დიდი და სერიოზული სამუშაოების ჩატარებას. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მხარი უნდა დაუჭირონ მოწინავე კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების ინიციატივას, რომ ამ სამუშაოთა წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად ფართოდ იქნას გამოყენებული დიდი ფერგანის არხის მშენებელთა მდიდარი გამოცდილება.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულია ქართლის რაიონების სოციალისტური სოფლის მეურნეობის აყვავების სტალინური პროგრამა, რომლის წარმატებით შესრულება დამოკიდებულია ჩვენს ენერგიულ და უწყვეტ მუშაობაზე. საქმეს უნდა შევუდგეთ ახლავე, დროს დაუკარგავად.

ახალი დოკუმენტები ს. მ. კიროვის მუზეუმში

ლენინგრადი, (საკდესი). ს. მ. კიროვის მუზეუმმა ახალი დოკუმენტები შეიძინა.

დიდად საინტერესოა გ. კ. ორჯონიკიძის დეპეშა სერგეი მიროსის-ძე კიროვის სახელზე წითელ არმიანებულთა მიერ თბილისის აღების შესახებ. იგი კავკასიიდან გაიგზავნა მოსკოვს. ს. მ. კიროვი ამ დროს საკ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე იყო.

გამოფენილ დოკუმენტებს შორის არის სასწავლო საარტილერიო პოლკის 1927 წლის 13 აგვისტოს წერილი.

„ძვირფასო ამხ. კიროვ! რევოლუციური სამხედრო საბჭოს 1927 წლის 20 ივნისს № 143 ბრძანებით თქვენ დამტკიცებული ხართ მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ასამაღლებელი საარტილერიო კურსების სასწავლო საარტილერიო პოლკის საპატიო წითელარმიელად. სასწავლო საარტილერიო პოლკი მეთაურისა და კომისრის სახით მოგესალმებათ თქვენ ამ სახელწოდების მიღების გამო“.

მუზეუმში მიმსვლელნი ნახავენ აგრეთვე იმ მისასალმებელი დეპეშის ტექსტს, რომელიც აზერბაიჯანის საბჭოების V ყრილობამ გაუგზავნა კიროვს. ეს ყრილობა შესდგა 1927 წლის მარტში. აქვე ინახება პიონერ ალექსანდრე ზაიცევის წერილი კიროვისადმი და სხვა ახალი დოკუმენტები.

გარდა ამისა, მუზეუმმა შეიძინა ხელოვნების ახალი ნაწარმოებნი: ს. მ. კიროვის მარმარილოს ქანდაკება, გაკეთებული ა. ნ. შიშკინის მიერ, მხატვარ ე. დ. ბელუხის ლიტოგრაფია „კიროვი მთიელებს შორის“ და სხვა.

ახალი დოკუმენტები მ. ვ. ფრუნზეს შესახებ

ლენინგრადი, (საკდესი). ცენტრალურ სახელმწიფო არქივში აღმოჩინეს გამოუქვეყნებელი დოკუმენტი, რომელიც ახასიათებს გამოჩენილი პროლეტარული სარდლის, მ. ვ. ფრუნზეს როლს არაღის ფლოტილიის ორგანიზაციაში.

1919 წლის 9 დეკემბერს მ. ვ. ფრუნზემ, რომელიც მაშინ თურქესტანის ფრონტის ხელმძღვანელობდა, ამომწურავი სიცხადით დაასაბუთა არალის ზღვაზე ფლოტილიის შექმნის აუცილებლობა, ამ ფლოტილიის ხასიათი, გემების ტიპები და მათი აღჭურვილობა.

არალის ფლოტილიამ, რომელიც მ. ვ. ფრუნზეს ინიციატივით შეიქმნა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თურქესტანის ფრონტზე წარმოებულ ოპერაციებში.

სრულიად-საკავშირო საავიაციო გამოფენა

სსრკ საბჭოთა არქიტექტორების კავშირის გამგეობა არქიტექტურული ოსტატობის მიღწევათა სრულიად-საკავშირო გამოფენას აწყობს. მრავალი ექსპონატი ასახავს ჩვენი ქვეყნის ყველა საუკეთესო ნაგებობას, რაც კი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ არის აშენებული. ასეთი გამოფენა პირველად ეწყობა.

მოსკოვი გამოფენაზე საჩვენებლად 75-ზე მეტ ნაგებობას გამოჰყოფს. მათ შორის არის: ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მეტროპოლიტენის სადგურები, სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის პავილიონები, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს სახლი, სასტუმრო „მოსკოვი“, წითელი არმიის ცენტრალური თეატრის, პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზის, ხიმკის სამდინარო ვაგზლის შენობები და მდინარე მოსკოვზე გადებული ხიდები. ექსპონირებულ იქნება აგრეთვე ის მასალები, რომლებიც გვიჩვენებენ ჩვენი ეპოქის უდიდეს მშენებლობას — საბჭოების სასახლეს.

გამოფენაზე ნაჩვენები იქნება ლენინგრადსა, კიევსა, ბაქოსა, თბილისსა და სხვა რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო და სამრეწველო ცენტრებში აგებულ ახალ შენობათა მრავალი პროექტი და ფოტოგრაფია. წინათ არქიტექტურის გამოფენებზე მხოლოდ ნაგებობათა ფასადებს უჩვენებდნენ. დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავებით, ამ გამოფენაზე უჩვენებენ აგრეთვე შენობათა დაგეგმვას, შიდა სადგომების მოპირკეთებას და სხვ.

ასეთი გამოფენა რამდენიმე ეწყობა. ერთი მათგანი მოსკოვში გაიხსნება, სხვები კი მოძრავი იქნება. გადაწყვეტილია ეს გამოფენები პირველ რიგში გაიგზავნოს უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქებში, ბესარაბიაში, ჩრდილოეთ ბუკოვინაში და ბალტიისპირეთის ახალ საბჭოთა რესპუბლიკებში.

ამჟამად გაჩაღებულია მოსამზადებელი მუშაობა. უახლოეს ხანში ადგილობრივ შეუდგებიან მოდელების, ესკიზების, პროექტებისა და ფოტოგრაფიების შერჩევას. (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ვ. მ. ტარასოვი** დანიშნა სსრკ სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ და შეიყვანა იგი სსრკ სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისრის კოლეგიის შემადგენლობაში.

ლიტვის მთავრობის დაწესებულებათა გადასვლა ვილნიუსში

კაუნასი, 21 ოქტომბერი (საკდესი). დაიწყო ლიტვის სს რესპუბლიკის მთავრობის დაწესებულებათა გადასვლა რესპუბლიკის დედაქალაქ ვილნიუსში. აქ უკვე მუშაობს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი, უახლოეს დღეებში გადმოვა განათლების სახალხო კომისარიატი.

საკდესის თანამშრომელთან საუბრის დროს ლიტვის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გედვილასმა განაცხადა:

„ცნობილია, რომ ლიტვის სს რესპუბლიკის დროებითი უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიამ დაადგინა 1 მაისიდან გადაიტანოს რესპუბლიკის მთავრობის ყველა დაწესებულება თავის ძველ დედაქალაქ ვილნიუსში. მუშაობა უკვე დაიწყო. ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატისა და განათლების სახალხო კომისარიატის შემდეგ წელს ვილნიუსში გადავლენ სოციალური უზრუნველყოფის და ვაჭრობის სახალხო კომისარიატები. დროებითი უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება დანიშნულ ვადაში შესრულდება.

ვილნიუსში ამზადებენ მთავრობის დაწესებულებათა შენობებს; იქ დიდი მშენებლობა მიმდინარეობს. პოლონელ დამპყრობელთა ბატონობის წლებში ქალაქი სრულიად მოუვლელი იყო. ახლა ვილნიუსის ქუჩებისა და მოედნების რეკონსტრუქცია დაიწყო, გაჰყავთ წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელები, სწრაფად მთავრდება მთელი რიგი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების აგება. მომავალ წელს დაწყებული იქნება მშენებლობა მთავრობის სახლისა, რომელიც ვილნიუსის უდიდესი შენობა იქნება.

საბჭოთა ლიტვის დედაქალაქი დიდი საბჭოთა კავშირის ერთერთი უღამაზესი და ყველაზე კეთილმოწყობილი ქალაქი იქნება.

დამგკიცებულია საარჩევნო კომისიების შემადგენლობა

ტარნოპოლი, 21 ოქტომბერი (საკდესი). საოლქო აღმასკომმა დაამტკიცა 38 რაიონული და 3 საქალაქო კომისიის შემადგენლობა.

ტარნოპოლის საქალაქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია სახალხო ჯრების ყოფილი დეპუტატი ამხ. სოროკა.

კომისიის წევრებს შორის არიან საკოლმეურნეო მოძრაობის ინიციატორები ტარნოპოლშჩინაში — ყოფილი მოჯამაგირე ამხ. განინი, სტალინის სახელობის არტელის ბრიგადირი, 1941 წლის სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობის კანდიდატი ამხ. იაროშევსკი, მონასტირის თამბაქოს ფაბრიკის სტახანოველი ქალი ამხ. ფოგელი და სხვები.

საარჩევნო კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ინტელიგენცია.

სულ საქალაქო, სადაბო და სასოფლო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში დამტკიცებულია 5.100-ზე მეტი კაცი.

უღიდესი კოლიზიკური აღჭყინება

გელოკტოკი, (საკდესი). ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანია მშრომელთა დიდ შრომითს აღტყინებასა და პოლიტიკურ აქტივობას იწვევს.

ოლქში აქტიურად სწარმოებს მშრომელთა წარმომადგენლების დასახელება საარჩევნო კომისიებში. მუშები, გლეხები და ინტელიგენცია ამ საპატიო სამუშაოზე ასახელებენ საუკეთესო საზოგადოებრივ მუშაკებს, სტახანოველებს, რომლებმაც დაამტკიცეს თავგანთი ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი.

ლომჟის რაიონის მშრომელებმა საოლქო საარჩევნო კომისიაში დასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ტურლეისკი. ზამბროვსკის რაიონის ამომრჩევლებმა საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელეს უპარტიო მასწავლებელი ჩესლავ შერშენი და გლეხი ქალი — ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ოლღა მოზალევსკაია. სკიდელის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ერთსულოვნად დაასახელეს კომკავშირელი ნინო სადოვსკაია.

ფართოდ გაიშალა ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ბელოსტოკში შექმნილია საოლქო საბჭოს არჩევნების 8 ოლქი, საქალაქო საბჭოს არჩევნების 250 ოლქი. პარტიის საქალაქო კომიტეტმა მოსახლეობაში სამუშაოდ მიიწვია 3 ათასი აგიტატორი. მათს დასახმარებლად მზადდება დიდი მასალა, რომელიც ასახავს ქალაქის მიღწევებს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში.

რიგის მაღაზიებში

რიგა, 21 ოქტომბერი (საკდესი). წიგნის მაღაზია „სპარტაკის“ დახლთან მიდის მოხუცი გლეხი, რომელსაც ზურგზე ჩანთა ჰკიდია.

— მე ლატგალიიდანა ვარ, — მიმართავს იგი გამყიდველს, — მე მთელმა თემმა გამომგზავნა, რათა შევიძინო წიგნები წითელი კუთხისათვის. ჩვენ გვჭირდება სტალინის ბიოგრაფია, „საკ კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, სტალინის „ლენინიზმის საკითხები“, წიგნები საბჭოთა კავშირის შესახებ. წიგნები თუ არ ჩამოიტანო, ისე არ დაბრუნდეო!—მითხრეს ამხანაგებმა...

საჭირო წიგნები რომ მიიღო და თავისი მოზრდილი ჩანთა აავსო ამ წიგნებით, გლეხი კმაყოფილი გავიდა მაღაზიიდან.

რიგის წიგნის მაღაზიებში თითქმის ყოველდღე შეხვდებით საბჭოთა ლიტვის სოფლებიდან და ქალაქებიდან ჩამოსულ ასეთ წარმომადგენლებს. ხარბად ეწაფებიან ეკონომიურ, პოლიტიკურ და სამეცნიერო - პოპულარულ ლიტერატურას, ბელეტრისტიკას. ყველაზე მეტი მოთხოვნილებაა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსზე“.

ბელომორსკის აგიტაჭორთა თათბირი

ბელომორსკი (კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკა), 21 ოქტომბერი (საკდესი). ქალაქსა და რაიონში გაიშალა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანია. ასობით აგიტატორები განუმარტავენ ამომრჩევლებს არჩევნების დებულებას და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კონსტიტუციას, აცნობენ მათ თავიანთი რაიონისა და რესპუბლიკის წარმატებებს. კარგად მუშაობს რკინიგზის სადგურის აგიტკოლექტივი.

გუშინ ბელომორსკში შესდგა აგიტატორთა საერთო - საქალაქო თათბირი. თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავისი მუშაობის გამოცდილება.

დაიწყო წარმომადგენელთა დასახელება საოლქო საარჩევნო კომისიებში.

აღანდის კუნძულების შესახებ სსრ კავშირსა და ფინეთს შორის დადებული შეთანხმების რატიფიკაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რატიფიკაცია უყო ალანდის კუნძულების შესახებ სსრ კავშირსა და ფინეთს შორის დადებულ შეთანხმებას, რომელიც ხელმოწერილ იქნა ქ. მოსკოვში 1940 წლის 11 ოქტომბერს. (საკდესი).

აღანდის კუნძულების demilitarisaciის თაობაზე საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ სიგელების გაცვლა-გამოცვლა

ჰელსინკი, 21 ოქტომბერი (საკდესი). ფინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ დღეს ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიტინგმა და სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ფინეთში ზოტოვმა მოახდინეს ალანდის კუნძულების demilitarisaciის თაობაზე საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ სიგელების გაცვლა-გამოცვლა.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

„საქჩაის“ ცნობებით, 20 ოქტომბრისათვის საქართველოში დამზადებული იყო 50.804,1 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, წლიური გეგმის 99,4 პროცენტი. გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს: ბათუმის (101,6%), გალის (100,3), გუდაუთის (124), მახარაძის (102,1), ჩოხატაურის (100,7), ლანჩხუთის (100,8), წულუკიძის (100,8), ქუთაისის (103,7), წყალტუბოს (101,7), ტყიბულის (104,2), ცხაკაიას (100,6), გეგეჭკორის (100,4), ზუგდიდის (101,2), და ხობის (102,1) რაიონებმა.

ქობულეთის რაიონში ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია 98,2 პროცენტით, ოჩამჩირის რაიონში — 89,5, სოხუმის—79,2, სამტრედიის —92,5, წალენჯიხის — 89,2 და ჩხოროწყუს რაიონში—91,8 პროცენტით.

20 ოქტომბრისათვის სულ საქართველოში მოკრეფილი 50.804,1 ტონა ფოთლიდან პირველი ხარისხისა იყო 59,1 პროცენტი, მეორე ხარისხისა—10,3 და მესამე ხარისხისა—30,6 პროცენტი.

გუდაუთის რაიონში მოკრეფილი ფოთლიდან პირველი ხარისხისა არის 80,6 პროცენტი, ბათუმის რაიონში—79,9, ქუთაისის — 78,6, ქობულეთის—75,6, ტყიბულის—70,7, მახარაძის—67,4, ზუგდიდის—60,6, სამტრედიის—60,2, ლანჩხუთის რაიონში — 56 პროცენტი და სხვ., ხოლო წულუკიძის რაიონში წელს მოკრეფილი ფოთლიდან პირველი ხარისხისა არის მხოლოდ 38,3 პროცენტი, ხობის რაიონში—41,5, გეგეჭკორის — 41,1, ოჩამჩირის — 40,4, გალის —41,8 პროცენტი და სხვ.

მთელ რიგ რაიონებში მეტად დიდი რაოდენობით მოიკრიფა მესამე ანუ მდარე ხარისხის ფოთოლი. მაგალითად, გალის რაიონში წელს მოკრეფილი ფოთლიდან მესამე ხარისხისა არის—46,2 პროცენტი, ოჩამჩირის—45,1, წულუკიძის—49,6, გეგეჭკორის — 45,2, ცხაკაიას — 41,5, ჩოხატაურის—41,2 პროცენტი და სხვ.

ერთობლივი მიგზლობითი ქა

ბურიატ-მონღოლეთის ხელოვნების დეკადა მოსკოვში. სურათზე: სცენა სპექტაკლ „ერენის“ მესამე აქტიდან. მსახიობი კომკავშიორელი ს. ბ. ცირენოვა სვეტლანას როლში და მსახიობი ორდენოსანი ჰ. ნ. გენინოვი ნამეცლას როლში. (საკდესის ფოტოქრონიკა)

ბურიატ-მონღოლეთის ხელოვნების დეკადა მოსკოვში

ხალხურ ლეგენდაზე აგებული სპექტაკლი

მუსიკალური დრამა „ბაირი“ დიდი წარმატებით ჩატარდა

21 ოქტომბერს ბურიატ-მონღოლეთის სახელმწიფო მუსიკალურმა დრამატულმა თეატრმა სსრ კავშირის დიდი თეატრის ფილიალის სცენაზე დასდგა დეკადის პროგრამაში შეტანილი თავისი მეორე წარმოდგენა „ბაირი“. ეს არის პირველი ბურიატ-მონღოლური მუსიკალური დრამა, რომელიც შექმნილია ნაციონალური დრამატურგების — გ. ც. ციდენჟაპოვისა და ა. ი. შადაევის მიერ. ძველ ხალხურ ლეგენდამდე აგებული ამ ნაწარმოების მუსიკა დასწერეს კომპოზიტორებმა ბ. ბ. იამპილოვმა და პ. მ. ბერლინსკიმ.

შემოქმედებითმა კოლექტივმა დამდგმელის, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ სახალხო არტისტის გ. ც. ციდენჟაპოვის მეთაურობით საინტერესო, უაღრესად ხალხური სპექტაკლი შეჰქმნა. მისი მუსიკა ღასავსეა ფოლორიტული მელოდიებით; სპექტაკლში შეტანილია ცეკვა, რომელიც გვაცნობს ბურიატ - მონღოლურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას, და საინტერესო ძველებური წესჩვეულებანი. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ნიღბების ცეკვამ — „ცანძა“, რომელიც დადგმულია ი. ა. მოისეევის მიერ.

ბაირის როლი კარგად შეასრულა მსახიობმა შ. ვ. კოროტკოვმა. ისე როგორც წინა წარმოდგენაში, დიდი წარმატება ჰქონდა აგრეთვე მსახიობ ნ. კ. პეტროვას. ბულგანის როლში მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. სხვა მთავარი როლების შემსრულებელთა შორის აღსანიშნავი არიან—ც. ლ. ხობორკოი (ხუტარმანი), ც. გ. შაგდინი (სუტამერგენი), ბურიატ - მონღოლეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ნ. ვ. თაროვი (ბუხანაი), ბ. მ. ბოლდაკოვი (ხანი).

მაყურებელნი გულთბილად შეხვდნენ სპექტაკლ „ბაირს“. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დამსწრენი მჭუხარე ტაშით მიესალმნენ დადგმის ყველა მონაწილეს. წარმოდგენამ დიდი წარმატებით ჩაიარა. (საკდესი).

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკთა წინასაოქტომბრო შეჯიბრება

ტრესტ „საქნავთის“ ნავთის სარეწაოებსა და ნავთსაძიებლებში ფართოდ გაიშალა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება, რომლის ინიციატორები არიან სუფსის ნავთსაძიებლის მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები. სუფსის ნავთსაძიებლის კოლექტივმა შეჯიბრებაში გამოიწვია ნორიოს ნავთსაძიებლის მუშები. სუფსაში შეჯიბრება გაიმართა № 12 და № 10 ჭაბურღილებს შორის. № 12 ჭაბურღილმა ვალდებულება იკისრა ვადამდე 20 დღით ადრე—7 ნოემბრისათვის დაემთავროს ჭაბურღილების გაბურღვა, ბოლო მოუღოს გაცდენას და სხვ.

საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკები დიდი აღფრთოვანებით ეცნობოდნენ უკრაინის მაღაროელთა წერილს. ამ წერილმა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ტალღა გამოიწვია. ტრესტ „საქნავთის“ ბურღვის, კანტორის ჭაბურღავთა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ვადამდე შეასრულოს წლიური გეგმა. ამ ვალდებულებას მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები წარმატებით ანხორციელებენ.

სუფსის ნავთსაძიებლის კოლექტივი წარმატებით იბრძვის იმისათვის, რომ ვალდებულება ვადამდე —5 დეკემბრისათვის შეასრულოს და ბურღვის წლიური გეგმა განაპირობოს. ასეთივე ვალდებულება იკისრა ნორიოს ნავთსაძიებლის კოლექტივმაც.

მეორე კვარტალში მოპოვებული სრულიად-საკავშირო გარდამავალი წითელი დროშის შესანარჩუნებლად წარმოებულმა შეუპოვარმა ბრძოლამ უზრუნველჰყო ტრესტ „საქნავთის“ კოლექტივის წარმატება მესამე კვარტალშიც.

ბურღვის გეგმა მესამე კვარტალში შესრულებულია 122,9 პროცენტით, დაზგა-თვეზე გათხრის სიჩქარე 13,7 პროცენტით აღემატება გეგმით გათვალისწინებულ დავალებას. გეგმით გათვალისწინებული 12 ჭაბურღილის ნაცვლად, დამთავრებულია 16 ჭაბურღილის გათხრა. ბურღვის ციკლური (კომპლექსური) სიჩქარე გეგმას 43,4 პროცენტით აღემატება. 1 მეტრის გათხრის თვითღირებულება საექსპლუატაციო ბურღვის ხაზით, გეგმასთან შედარებით, შემცირებულია 2,6 პროცენტით, ხოლო საძიებელი ბურღვის ხაზით —4,5 პროცენტით.

ყველა ამ ჭაბურღილის ხაზით, რომელთა ბურღვა დამთავრებულია, ეკონომია 425 ათას მანეთს შეადგენს. თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება 22,9 პროცენტით გაიზარდა.

ტრესტ „საქნავთის“ კოლექტივმა მესამე კვარტალის გეგმა ვადაზე 16 დღით ადრე შეასრულა.

ტრესტ „საქნავთის“ 18 საუკეთესო სტახანოველი, მათ შორის ჭაბურღილის უფროსი ზ. ბაქაშელი, მუშა ლ. ქველიძე და სხვები, ჯილდოზე არიან წარდგენილი. (საქდესი).

მახარაძელთა ვალდებულებანი

მახარაძე, (საქდესი). მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული, საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მათ ვალდებულება იკისრეს, რომ 25 ოქტომბრამდე გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს 500.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჩააბარებენ. ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა გეგმის გადამეტებით ჩააბარებს 100 ტონა ფოთოლს, ნასაკირალისა—70 ტონას, ნატანების კოლმეურნეობა — 50 ტონას და სხვ.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფარგლებში გაშლილ შედეგად კოლმეურნეობებმა დაამთავრეს თივის აღება და გაცხოველებით მუშაობენ სიმინდისა და სოიის ასაღებად.

100 ათასი მანეთის პროდუქცია გეგმის გადამეტებით

მახარაძე, (საქდესი). ფეხსაცმლის სამკერვალო არტელმა „იმედმა“ წლიური გეგმა 102,6 პროც. შეასრულა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 80 ათასი მანეთი პროდუქციისა, გამოშვებულია 91.500 მანეთის პროდუქცია.

არტელის სტახანოველები ამხ. გ. მექვაბიშვილი, ვ. გოგიბერიძე, კ. ხმელიძე, ლ. ღლონტი, მ. ცინცაძე და ვ. ღლონტი ყოველთვიურ დავალებას 150-220 პროცენტით ასრულებენ. არტელის კოლექტივი ჩაება წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით 100 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვას.

5 მილიონი დამთვალიერებელი ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში

თითქმის ოთხ წელიწადნახევარმა განვლო მას შემდეგ, რაც მოსკოვში გაიხსნა ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური მუზეუმი. მუზეუმის ნათელ და ფართო დარბაზებს ყოველდღე დიდძალი ხალხი ათვალიერებს. აქ შეიძლება შეხვდეთ პარტიულ და კომკავშირულ მუშაკს, მეცნიერს, მასწავლებელს, ინჟინერს, სტუდენტს. აქ მოდიან მუშები, კოლმეურნეები, წითელი არმიის მეომრები და მეთაურები, სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და ეროვნების ხალხი.

მუზეუმში ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდიან ექსკურსანტები. მის ექსპონატებს გაეცნენ შორეული ჯამჩატკის, პამირის, სახალინის, ყირიმის, ურალის, კავკასიის, იაკუტიის მშრომელები. აქ იყვნენ სტალინის სახელობის დიდი ფერგანის არხის მშენებლები, თერგვარდიელ ფინელებთან წარმოებული ბრძოლების მონაწილენი.

18 ოქტომბერი შესანიშნავი თარიღია მუზეუმის მუშაობაში. ამ დღეს მუზეუმის დამთვალიერებ

ახალი კოლხიდის მშენებლობაზე

ემზადებიან სამუშაოზე მასობრივად გასვლისათვის

ლანჩხუთი („კომუნისტის“ კორ.). რაიონის 44 კოლმეურნეობამ მდინარე რიონის მარცხენა ნაპირის ჯებირის მშენებლობაზე უნდა შეასრულოს 76.980 კუბური მეტრი მიწის სამუშაო. ამ დავალების 72 პროცენტი ამჟამად უკვე შესრულებულია.

ორგანიზებულად მოვიდნენ სამუშაოზე ქვიანის კოლმეურნეობის წევრები, რომლებმაც მიცემული გეგმა ვადაზე 6 დღით ადრე შეასრულეს. შესრულებულმა სამუშაომ მაღალი შეფასება მიიღო. ასევე წარმატებით მუშაობენ მაჩხვარეთის, წყალწმინდის, ჭყონაგორას, ზემო-ჩიბათის და ჩოლობარგის კოლმეურნეობათა წევრებიც.

ლანჩხუთელი კოლმეურნეები მოსავლის აღებისა და ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის დარჩენილი გეგმის შესრულების შემდეგ, უახლოეს დღეებში კვლავ მასობრივად გავლენ კოლხიდის სამუშაოებზე.

შესრულებულია 31.000 კუბური მეტრი მიწის სამუშაო

ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობები აქტიურად მონაწილეობენ კოლხიდის ჭაობის დაშრობის სამუშაოებში. მდინარე რიონის მარცხენა ნაპირების ჯებირის მშენებლობაზე რაიონის 60 კოლმეურნეობიდან 1547 კოლმეურნე გამოცხადდა 1.370 უღელი ხარ-კამეჩით და საჭირო მანქანა-იარაღებით. მთელი სამუშაო დაიყო უბნებად, გაიმალა სოციალისტური შეჯიბრება.

ჩვენს რაიონს კოლხიდისათვის 100.000 მანეთის სამუშაო უნდა შეესრულებინა. ფართოდ იყენებდნენ რა სოცშეჯიბრებას, კოლმეურნეებმა 3.300 მეტრის სიგრძის ჯებირზე 7 დღეში 31.000 კუბ. მეტრი მიწა აზიდეს და ამით ნაკისრი ვალდებულება შეასრულეს.

სოცშეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ: ძირგანახლების, ბურნათის, შუა-განახლების, დაბლაციხის, ბუკისციხის, იანეულის, კოხნარის, გორაბერეჟოულის, ზემოფარცხმის, იანეულის, ჩხაკოურის, ზოტის, ვანის და ზომლეთის კოლმეურნეობები. შუასურების, გუთურის და ჩომეთის კოლმეურნეობები კი სამუშაოზე არაორგანიზებულად გამოცხადდნენ და მიცემული დავალება დროზე ვერ შეასრულეს.

კოლმეურნეობებს მშენებლობის ადგილზე მომსახურებას უწევდა საქიმო პუნქტი, ვეტპუნქტი და კოოპერატიული სავაჭრო წერტი. კარგად იყო დაყენებული აგრეთვე აგიტმასობრივი მუშაობა. დასვენების საათებში აგიტატორები ა. ცინცაძე, გ. ჯიბლაძე, შ. ზამბახიძე. და ჯ. შარაშიძე კოლმეურნეებს საინტერესო საკითხებზე ესაუბრებოდნენ.

გაზეთ „ბრძოლის დროშას“ რედაქცია აქ ყოველდღე უშვებდა კედლის გაზეთს „სოცშეჯიბრების დროშას“, რომელმაც გამოავლინა მოწინავენი, ჩამორჩენილები და კოლმეურნეობათა შორის მოაწყო სოციალისტური შეჯიბრება.

მუშაობის პერიოდში მთავარი ყურადღება ექცეოდა ნამუშევრის სწორად აღრიცხვას, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინებინა კოლხიდის ჯებირის მშენებლობის მოწინავენი და ჩამორჩენილები. მოწინავე კოლმეურნეთა შორის აღსანიშნავი არიან მტვირთავები მ. ძნელაძე, ვ. ტალაშაძე, გ. მაღულარია, ჰ. მაღულარია, დ. მაღულარია, ი. მაღულარია, გ. ძნელაძე, ა. მაღულარია, ჰ. გიორგაძე, შ. ძნელაძე, ი. ძნელაძე და სხვ.

ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეებმა კოლხიდის დაბლობის დაშრობისათვის გვიჩვენეს.

გ. თოდრია

ციტრუსოვანთა ნაყოფის მისაღებად მზად არ არიან

მახარაძე, („კომუნისტის“ კორ.). ციტრუსოვანთა მოსავალს წელს მახარაძის რაიონში კარგი პირი უჭირს. ნაყოფის დამზადება 7-8 ნოემბრიდან მასობრივად გაჩაღდება. ეს „საჭიხილკონსერვტრესტის“ მახარაძის რაიონულ კანტორას ავალებს დააჩქაროს მზადება ნაყოფის მიღება-დამზადებისათვის.

შემოწმებით გამოირკვა, რომ არ არის ჩატარებული დამხარისხებელი 6 მანქანის რეკონსტრუქცია და რემონტი. მერიაში მოუწყობელია ელექსროსადგური.

ცუდ მდგომარეობაშია ქარხნებთან მისასვლელი გზები და ხიდები, მათ რემონტი ესაჭიროება.

უარეს მდგომარეობაშია ტრანსპორტის საქმე. აქ არსებული 19 ავტომანქანიდან მიმდინარე რემონტი ესაჭიროება 6 მანქანის, მაგრამ სათადარიგო ნაწილები არა აქვთ. დანარჩენი 13 ავტომანქანიდან შეიძლება ამუშაედეს მხოლოდ 4 მანქანა. თუმცა მათაც რიგიანი საფარები არა აქვთ. ცხადია, ასეთი მდგომარეობა ვერ უზრუნველჰყოფს ციტრუსოვანთა ნაყოფის დროზე და წესიერად დამზადებას.

ციტრუსოვანთა ნაყოფის შემფუთავი ქარხნების ნორმალური მუშაობისათვის საჭიროა 738 მუშა, ფაქტიურად კი არის მხოლოდ 102. გარდა ამისა, ყველა ქარხანა არ არის უზრუნველყოფილი საკმაო რაოდენობის საცხოვრებელი ბინებით.

ეს საკითხები სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს.

ვ. ჯაფელი

ახალი მანქანა-ტრაქტორთა სადგური

ქუთაისი, (საქდესი). ქობულეთის რაიონში მოეწყო ახალი მანქანა-ტრაქტორთა სადგური. ამ წლის განმავლობაში მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა ციტრუსების გასაშენებელ ადგილებში ჩარგვები უნდა ამოძირკოს 160 ჰექტარზე და კვლები უნდა გაიყვანოს 30 ჰექტარზე. მანქანა-ტრაქტორთა სადგური შეუდგა მუშაობას.

გეგმის შესრულება

ბორჯომის რაიონმა 18 ოქტომბრისათვის საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა. თესვა გრძელდება.

ბოლშევიკურად განვახორციელოთ ქართლის რაიონების აყვავების სტალინური პროგრამა

დაიგენიღებას შრომის ახალი ენთუზიაზმით უპასუხებენ

გორი, 22 ოქტომბერი („კომუნისტის“ კორ.). კოლმეურნეთა კრებებზე გულმოდგინეთ იხილავენ პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილებას. 21 ოქტომბერს სოფელ ოხერას ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე, რომელზეც განხილულ იქნა აღნიშნული დადგენილება, სიტყვით გამოვიდა 10 კოლმეურნე. კოლმეურნე ნონიკაშვილმა განაცხადა, რომ იგი საკარმიდამო ნაკვეთზე 30 ძირ ხეხილს გააშენებს.

ხიდისთავის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება უახლოეს სამ წელს გააშენოს 30 ჰექტარი ახალი ვენახი და 50 ჰექტარი ატამი, გარგარი და სხვა ხეხილი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ოქტომბრის დადგენილებას დიდი ინტერესით გაეცნენ გორის საკონსერვო ქარხნის მუშები, რომლებიც ყოველდღიურად ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას. 21 ოქტომბერს გორის საკონსერვო ქარხანამ 64.300 კილოგრამი კონსერვი გადაამუშავა. ამ დღეს ორ მანქანას მოემსახურა ვერა ლაშკოვა, რომელმაც სტაფილოს დაჭრის დღიური გეგმა 215 პროცენტით შეასრულა.

რაიონის კოლმეურნეობები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა ქართლის რაიონების სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების გამოსვლა აღნიშნონ საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით შესრულებით. სოფ. ზედღულეთის, ხურვალეთის, ვარიანის, ქვემო და ზემო სკრის კოლმეურნეობში დადგენილების გაცნობასთან დაკავშირებით შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებები ჭაობების დაშრობისა და გამოუყენებელი მიწების უახლოეს ხანში ათვისებისათვის.

ფართოდ განვავითაროთ მეცხოველეობა ქართლის რაიონებში

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ოქტომბრის დადგენილება ქართლის რაიონების წინაშე სახავს სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი განვითარების დიდ პროგრამას.

ქართლის რაიონებში მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დღემდე ვერ მუშაობდა ისე, როგორც საჭირო იყო. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საქმის გაუმჯობესებისა და ზოოვეტ-კადრების მომზადებისათვის საჭირო სასწავლო-საწარმოო ბაზად ჩვენთვის უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის გადმოცემა საუკეთესო პირობაა იმისა, რომ შემდეგში უფრო მეტი დახმარება გავუწიოთ ამ მხრივ ქართლის რაიონებს.

მეცხოველეობის სულადობის და პროდუქტიულობის შემდგომი აღმავლობისათვის პირველყოვლისა საჭიროა ქართლის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა, აგრეთვე მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მთელი სერიოზულობით მოჰკიდონ ხელი მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეს. საძოვრების გაუმჯობესების და კულტურული ბალახების ნათესთა ფართობის ზრდასთან ერთად საჭიროა ფართოდ და გეგმაშეწონილად იქნას გამოყენებული ისეთი ძვირფასი ნარჩენები, როგორიცაა შაქრის ჭარხლის ფოთოლი, ჟენჟო, საკვები ბადაგი, აბრეშუმის ჭიის ჭუპარი, ქატო, კოპტონები, ბამბის ჩენჩო და სხვ.

წინასწარი შემოწმებით მარტო თბილისში და მის ახლობელ რაიონებში არსებული საწარმოები ყოველწლიურად იძლევიან 30.000 ტონამდე ნარჩენს, მშრალ მასას, რომლის კვებითი ღირებულება ამდენივე ტონა მარცვლეულს უთანაბრდება, ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი საზრდოს ნივთიერების შემცველობით, როგორიცაა ცილა, უთანაბრდება 50.000 ტონა მარცვლეულს.

მრეწველობის ამ ძვირფასი ნარჩენების წესიერი გამოყენება დღემდე მოუგვარებელია. უმეტეს შემთხვევაში ეს ნარჩენები სავსებით იკარგება. არ არის შემუშავებული მათი გამოყენების ზუსტი ნორმები და სხვ.

საჭიროა დაისვას საკითხი, რათა უახლოეს ხანში ქ. თბილისში ან მის ახლო მდებარე რაიონში აგებულ იქნას ამ ნარჩენების კომბინირებული წესით გადამამუშავებელი ქარხანა. ამ ქარხნის საშუალებით ქართლის რაიონები დამატებით მიიღებენ პირუტყვის ძვირფას საკვებს, რაც ხელს შეუწყობს მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

დოც. ს. ერკომაიშვილი

საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ჩვენს სოფელსა და ბინებს ილიჩის ელნათური გააშუქებს

ქარელი, 22 ოქტომბერი (საქდესი). ქარელის რაიონის კოლმეურნეი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის“ 15 ოქტომბრის დადგენილებას.

III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე გამოსულმა კოლმეურნეებმა აღნიშნეს ამ დადგენილების უაღრესად დიდი მნიშვნელობა და კონკრეტული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ხარატიშვილმა აღნიშნა, რომ წელს კოლმეურნეობა ჰექტარზე 290 ცენტნერ შაქრის ჭარხალს იღებს. მან კოლმეურნეობის სახელით ვალდებულება იკისრა, რომ მომავალ წელს კოლმეურნეობა ბევრად გადააჭარბებს დადგენილებით 1945 წლისათვის გათვალისწინებულ შაქრის ჭარხლის მოსავლიანობას.

კოლმეურნეთა განსაკუთრებული სიხარული გამოიწვია ახალი არხებისა და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობამ, რომლებიც 1941 წელს უნდა დამთავრდეს.

— მალე ჩვენს სოფელს და კოლმეურნეთა ბინებს ილიჩის ელნათური გააშუქებს, — ამბობენ კოლმეურნენი.

გორის საკონსერვო ქარხნის მთავარი საამქროს აგიტატორი ივანე გელდიაშვილი აცნობს მუშებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის განსაკუთრებით სწრაფწველო მეცხოველეობისა და მეცენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 21 ოქტომბერი (საქდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება:

გერმანიის წყალქვეშა ნავმა ასძირა ინგლისის დამხმარე კრეისერი 10 ათასზე მეტი ტონა წყალწყვისა. ინგლისის გემთა ორი ქარავნის წინააღმდეგ ოპერაციების დროს ჩაძირულია რამდენიმე გემი 53.300 ტონა საერთო წყალწყვისა. კაპიტან-ლეიტენანტ შეპკეს მეთაურობით წყალქვეშა ნავის მიერ ჩაძირულ გემთა წყალწყვა 40.565 ტონას აღწევს.

20 ოქტომბერს საღამოს გერმანიის ნაღმოსანმა თვითმფრინავებმა ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროსთან ჩასძირეს 20 ათასი ტონა საერთო წყალწყვის 3 სავაჭრო გემი, რომლებსაც ძლიერი ბაღრაგა ახლდათ, გუშინ მსუბუქ ყუმბარმტვირთა შენაერთები კვლავ ესხმოდნენ თავს ლონდონსა და სანორეთ და (ენგლისრაული ინგლისის სხვა ქალაქებს. წარმატებით დაგვირგინეთ ყუმბარა დოკებს, სანავსადგურო ნაგებობებს და მომარაგების უმნიშვნელოვანეს ბაზებს. ყუმბარები მოხვდა დიდი ნავთსაცავს ტემზპავენში, რის შედეგად ბეკრგან ხანძარი გაჩნდა. ღამით მძიმე ყუმბარმშენთა შენაერთებმა ეფრიშები გააძლიერეს ლონდონის წინააღმდეგ და მრავალი სხვადასხვა ჯალიბის ყუმბარა ჩამოყარეს. ტემზის ორივე მხარეზე ბეკრგან ხანძარი გაჩნდა, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. გერმანიის თვითმფრინავები ყუმბარას უშენდნენ აგრეთვე სამხედრო ჭარხნებს ჩენტრალურ ინგლისში და სანავსადგურო ნაგებობებს ინგლისის დასავლეთ სანაპიროზე.

გერმანიის მძიმე საბრძოლო ავიაციამ სროლა აუტეხა მტრის ორ დიდ სავაჭრო ხომალდს დუვრის ნავსადგურში. ბურვები მოხვდა გემებსა და სანავსადგურო ნაგებობებს, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. მტრის მოსრმსროლელმა არტილერიამ სპასპორო სროლა აუტეხა ლა-მანშის საფრანგეთის სანაპიროს, მაგრამ ზარალი არ მოუყვნებია.

გუშინღამ მტრის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ბერლინსა და სხვა ქალაქებში. წარმატებით დაგვირგინეთ ყუმბარა დოკებს, სანავსადგურო ნაგებობებს და მომარაგების უმნიშვნელოვანეს ბაზებს. ყუმბარები მოხვდა დიდი ნავთსაცავს ტემზპავენში, რის შედეგად ბეკრგან ხანძარი გაჩნდა. ღამით მძიმე ყუმბარმშენთა შენაერთებმა ეფრიშები გააძლიერეს ლონდონის წინააღმდეგ და მრავალი სხვადასხვა ჯალიბის ყუმბარა ჩამოყარეს. ტემზის ორივე მხარეზე ბეკრგან ხანძარი გაჩნდა, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. გერმანიის თვითმფრინავები ყუმბარას უშენდნენ აგრეთვე სამხედრო ჭარხნებს ჩენტრალურ ინგლისში და სანავსადგურო ნაგებობებს ინგლისის დასავლეთ სანაპიროზე.

გერმანიის მძიმე საბრძოლო და საზღვაო არტილერიამ სროლა აუტეხა მტრის ორ დიდ სავაჭრო ხომალდს დუვრის ნავსადგურში. ბურვები მოხვდა გემებსა და სანავსადგურო ნაგებობებს, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. მტრის მოსრმსროლელმა არტილერიამ სპასპორო სროლა აუტეხა ლა-მანშის საფრანგეთის სანაპიროს, მაგრამ ზარალი არ მოუყვნებია.

გუშინღამ მტრის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ბერლინსა და სხვა ქალაქებში. წარმატებით დაგვირგინეთ ყუმბარა დოკებს, სანავსადგურო ნაგებობებს და მომარაგების უმნიშვნელოვანეს ბაზებს. ყუმბარები მოხვდა დიდი ნავთსაცავს ტემზპავენში, რის შედეგად ბეკრგან ხანძარი გაჩნდა. ღამით მძიმე ყუმბარმშენთა შენაერთებმა ეფრიშები გააძლიერეს ლონდონის წინააღმდეგ და მრავალი სხვადასხვა ჯალიბის ყუმბარა ჩამოყარეს. ტემზის ორივე მხარეზე ბეკრგან ხანძარი გაჩნდა, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. გერმანიის თვითმფრინავები ყუმბარას უშენდნენ აგრეთვე სამხედრო ჭარხნებს ჩენტრალურ ინგლისში და სანავსადგურო ნაგებობებს ინგლისის დასავლეთ სანაპიროზე.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 21 ოქტომბერი (საქდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 20 ოქტომბერს დღისით გერმანიის თვითმფრინავები უმთავრესად სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში მოქმედებდნენ. ზარალი და მსხვერპლი დიდი არ არის. გერმანიის თვითმფრინავები ხუთჯერ შეეცადნენ ლონდონში შემოჭრას ტემზის შესართავის მხრიდან, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. დღის განმავლობაში მოსპობილია გერმანიის 7 თვითმფრინავი, რომელთაგანაც ერთი ლონდონის ქუჩაში ჩამოვარდა. ინგლისის ავიაციამ დაჰკარგა 3 თვითმფრინავი.

შებინდებისთანავე ინგლისის ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს გერმანიის შორსმსროლელი არტილერიის წინააღმდეგ საფრანგეთის სანაპიროზე. გამსკდარი ყუმბარების გუგუნი ინგლისის სანაპიროზე ისმოდა.

მტრის ავიაციის 21 თავდასხმა ძირითადად მიმართული იყო ლონდონისა და ინგლისის ცენტრალური რაიონების წინააღმდეგ. ლონდონის რაიონში დაზიანდა სხვადასხვა შენობები. რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა. მოკლული და დაჭრილია რამდენიმე კაცი.

ინგლისის ცენტრალურ რაიონებში განსაკუთრებით გაფთრებული ბომბარდირება განიცადა ერთერთმა ქალაქმა. ყველა ბომბარდირებულ პუნქტში დაზარალდა საცხოვრებელი სახლები და სავაჭრო საწარმოები. მსხვერპლი დიდი არ არის; არის რამდენიმე მოკლული.

20 ოქტომბერს ღამით ინგლისის ყუმბარმშენი ავიაციის ოპერაციები ბერლინიდან ჩრდილოეთ იტალიამდე ვრცელდებოდა. ბომბარდირებულ იქნა სამხედრო ობიექტები ჩრდილოეთ იტალიაში და გერმანიის მთელ რიგ პუნქტებში; ამას გარდა ბომბარდირებულ იქნა ლა-მანშის სანაპიროს ნავსადგურები. (საკდესი).

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ჰოლანდიაზე

ბერლინი, 21 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს გადმოცემით, გუშინ საღამოს ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს როტერდამის ცენტრს, აგრეთვე მოწსტერის რაიონს ჰოლანდიაში. მოკლულია რამდენიმე კაცი. ბომბარდირებამ მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 22 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგს ცნობას:

„21 ოქტომბრის განმავლობაში გერმანიის ყუმბარმშენთა შენაერთები ყუმბარას უშენდნენ ლონდონს და ცენტრალურ და სამხრეთ ინგლისის სხვა ქალაქებს. ლონდონში ბევრ ადგილას ახალი ხანძარი გაჩნდა. ლეიტანდის საავიაციო მოტორების ქარხანაში, ლივერპულის ჩრდილოეთით და სხვა სამხედრო ქარხნებში დანგრეულია დიდმნიშვნელოვანი სამშენებლო. აეროდრომების ბომბარდირების შედეგად დანგრეულია ანგარები და მოსპობილია მიწაზე მდგომი თვითმფრინავები. წარმატებით დაგუშინეთ ყუმბარა აგრეთვე რამდენიმე დიდ ნავთსაცავს და სანავსადგურო ნაგებობებს. ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ბადრაგის თანხლებით მიმავალი გემების ქარავანზე თავდასხმის დროს, ძლიერ დაბომბეს 3 ათასი სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვის ერთი სავაჭრო გემი. 21 ოქტომბერს, ღამით, გერმანიის ავიაცია განაგრძობდა იერიშებს ლონდონის წინააღმდეგ, აგრეთვე ინგლისის სხვა ქალაქების წინააღმდეგ, ავეთქება მოხდა და ხანძარი გაჩნდა ბირმინჰამის, კოვენტრისა და ლივერპულის მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებში. გერმანიის საჰაერო არტილერიამ ამ ღამით მტრის თვითმფრინავებმა, რომლებიც თავს დაესხნენ გერმანიის ტერიტორიას, რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს, მაგრამ სამხედრო ობიექტებისათვის ძირითადი ზარალი არ მიუყენებიათ. გუშინ მტერმა ორი თვითმფრინავი დაჰკარგა. გერმანიის ორი თვითმფრინავი უკვალოდ დაიკარგა.

ბერლინი, 22 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“ იუწყება, რომ 20 ოქტომბერს ღამით ბერლინზე თავდასხმის დროს ინგლისის თვითმფრინავებმა ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარები დააყარეს საცხოვრებელ უბნებს, დაანგრიეს სახლები და მსხვერპლი გამოიწვიეს სამოქალაქო მოსახლეობაში. „ყველაზე მნიშვნელოვანი ზარალი, — განაგრძობს გაზეთი, — გამოიწვია 2 ფუგასტრმა ყუმბარამ, რომელიც ქალაქის დასავლეთი ნაწილის ერთ ქუჩაზე დაეცა. ერთი ყუმბარა სახლს მოჰხვდა, მეორე კი გასკდა ტროტუარზე, ზედ 5-სართულიანი სახლის წინ. ორივე ეს შენობა და მათს ირგვლივ არსებული მრავალი სახლი ძალიან დაზიანდა. რამდენიმე უბანი დანგრეულია, ბევრი სხვა უბანი დაზიანებულია ნამსხვრევებით. მრავალი მსხვერპლია. შემდეგ გაზეთი სწერს, რომ ფუგასური ყუმბარები დააყარეს აგრეთვე ქალაქის სამხრეთ ნაწილს. სამხრეთით ყუმბარები ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ ნაწილს დააყარეს.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 22 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალები 20 ოქტომბერს, ღამით, ბერლინსა და სხვა ქალაქებს დიდი ნაღმებით დაბომბეს. ნაღმებით ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე ნაღმებით ბომბარდირებულ იქნა ნავსადგურები ინგლისის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში. ნაღმებით ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე ნაღმებით ბომბარდირებულ იქნა ნავსადგურები ინგლისის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში. ნაღმებით ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე ნაღმებით ბომბარდირებულ იქნა ნავსადგურები ინგლისის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში.

ინგლის-იტალიის ომი

რომი, 22 ოქტომბერი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება, რომ 20 ოქტომბერს, ღამით, იტალიის ნაღმოსნებმა ეიერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის გემებზე დიდ ქარავანზე, რომელსაც კრეისერები და საესკადრო ნაღმოსნები იცავდნენ. ჩაძირულ იქნა ექვსი გემი და სერიოზულად დაზიანდა რამდენიმე გემი. ამის შემდეგ იტალიის ნაღმოსნებმა და მტრის ბადრაგმა შორის ატეხილი ბრძოლა გათენებამდე გრძელდებოდა. ინგლისის „სანდენი“ ტიპის კრეისერი, 8.000 ტონა წყალწყვისა, იტალიის იმ სანაპირო ბატარეების ცეცხლში მოჰყვა, რომლებიც მეწამული ზღვის კუნძულებზე დგანან, და ძლიერ დაზიანდა. იტალიის ერთმა ნაღმოსანმა, რომელიც სერიოზულად დაზიანდა, შესძლო გასვლა სანაპირო ბატარეების საფარქვეშ. ეკიპაჟის შემადგენლობიდან დანაკლისი უმნიშვნელოა.

გათენებისას იტალიის ავიაცია თავს დაესხა მოწინააღმდეგის ქარავანს. მტრის ავიაციასთან ბრძოლის დროს დაზიანებულ იქნა მოწინააღმდეგის რამდენიმე თვითმფრინავი.

ჩრდილოეთ აფრიკაში იტალიის ავიაციამ ეფექტურად დაუშინა ყუმბარა ფუკას, მაატენს, ბაგუშს, მერსა-მატრუბისა და ედ-დაბის საბანაკო ბარაკებს. ელ ხამანის (ალექსანდრიის დასავლეთით) საავიაციო ბაზებს, ხელვანს (კაიროს სამხრეთით) და ალექსანდრიის საზღვაო ბაზებს.

გარდა ამისა, იტალიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ადენის სანავსადგურო ნაგებობებს, „სატვირთო მანქანების ჯგუფს ლოკიტანის მახლობლად (ქენია) და გარისში. აგრეთვე რამდენიმე სიმაგრესა და აეროდრომს, ამასთან მიზანს მოსპო მოწინააღმდეგის თვითმფრინავები და ბრძოლის დროს ჩამოაგდო ერთი თვითმფრინავი. იტალიის ერთი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა.

მტრის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ბაყბაყის რაიონში არსებულ სამხედრო ჰოსპიტალებს, სადაც დაჭრილ იქნა 8 კაცი.

ს. მ. იშხანოვი
საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი

მოვაწყოთ რენტაბელური დამხმარე მეურნეობანი

გლუხოვოს ბამბეულის კომბინატის კოლექტივის წინადადება — სამრეწველო საწარმოებთან დამხმარე მებოსტნეობა-მერძეობის მეურნეობათა მოწყობის შესახებ მოსახლეობის მოთხოვნილებათა, საუკეთესო დაკმაყოფილების ერთერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. თბილისის ფაბრიკებისა და ქარხნების მუშა-მოსამსახურეებმა, აქტიურად გამოეხმაურნენ რა გლუხოველთა ამ ჩინებულ ინიციატივას, ერთსულოვნად მოითხოვეს მაღალ - პროდუქტიულ დამხმარე მეურნეობათა დაუყოვნებლივ მოწყობა.

დედაქალაქის 62 ფაბრიკა-ქარხანა შეუდგა დამხმარე მეურნეობათა მოწყობას. მათთვის მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა. ნატახტარის, ღრმაღელეს, საბურთალოს და დიდუბის მასივებში 448 ჰექტარი მიწა გამოჰყო. აქედან 322 ჰექტარი მიზომილია თბილისის საწარმოებისათვის, რომლებიც უკვე შეუდგნენ იქ პრაქტიკულ საქმიანობას: ჯაგებისაგან გაწმენდას და ნიადაგის მომზადებას.

თბილისის ხორცის კომბინატს ნავთლუღში 6 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთი მიეცა. ეს ფართობი ამჟამად დამუშავებულია ბოსტნეული კულტურებისათვის. კომბინატმა შეიძინა 28 ძროხა და ხარი, 22 ხბო და 20 ღორი. საღორის მშენებლობა დამთავრებულია და ამჟამად აგებენ ბოსელს.

უეჭველად ყურადღების ღირსია ერთი ფაქტი. ქალაქის ზოგიერთმა საწარმომ (ქალაღდის, თამბაქოს, № 1 და № 2 მკერავის, საქეჩი, ძაფსახვევი და საგალანტერიო ფაბრიკები, „ზარია ვოსტოკას“ სტამბა და სხვ.), რომელთაც ერთ მასივზე მომიჯნავე ნაკვეთები აქვთ, სურვილი გამოთქვა ააგოს საერთო ბოსელი, საღორე, საქათმე და სხვ. ჩვენს პირობებში ეს უეჭველად მიზანშეწონილი და სწორია; ეს მოგვცემს სიხსრების ეკონომიას და მეურნეობათა ეფექტიურობასაც გაადიდებს; წვრილ საწარმოთა მცირე დამხმარე მეურნეობების გაერთიანება ჰქმნის იმის საშუალებასაც, რომ უკეთ დავნერგოთ და გავატაროთ აგროზოონისძიებანი.

დამხმარე მეურნეობის მოწყობას საქმიანად შეუდგნენ ცენტრალიტშიც. აქ ქარხნის გარშემო 5 ჰექტარი მიწაა; იგი მასვე მიეზომა. ამ ფართობიდან სამი ჰექტარი უკვე მოხნულია. ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს მესაქონლეობის და მერძეობის ფერმები. ამ მიზნით ააგეს საღორე 10 დედა-ღორისათვის და საქათმე 200 ქათმისათვის, აგებენ აგრეთვე ბოსელს 10 ძროხისათვის. ქარხანამ აქედანვე მოიმარაგა საქონლის საკვები, — 8 ტონა კოპტონი და 200 ფუთი თივა.

მოწინავეთა რიგებში დგას ქიმკომბინატის ქარხანაც. აქ ერთი ჰექტარი მიწა საბოსტნედ დაამუშავეს, შეისყიდეს 10 ღორი, ამდენივე გოჭი და 50 ქათამი. მათ მოიმარაგეს საჭირო რაოდენობის საკვები და სათესლე მასალაც; აშენებულია საქათმე, მალე დაამთავრებენ საღორის მშენებლობას. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატმა ააგო საღორე და საქათმე, შეისყიდა 6 საკრიშე ღორი და ერთი ინკუბატორი. დაახლოებით ასეთივე სურათია კიროვის სახელობის, № 1-ლი და № 2 ტყავის და მარგარინის ქარხნებში, ძაფსართავ, ქაღალდის, მაუდისა და თამბაქოს ფაბრიკებში.

გლუხოვოს კომბინატის მუშაკთა ინიციატივით დაწყებულს ფრიად კარგ და სასარგებლო საქმეს ეხმარება პარტია და ხელისუფლება, ვინაიდან „ყველაფერი რაც კი ხალხის სასარგებლოდ კეთდება, ყველაფერი, რაც აუმჯობესებს მშრომელთა ცხოვრების პირობებს, ყოველთვის ხვდებოდა და ხვდება სრულ მხარდაჭერას პარტიისა და მთავრობის მხრივ“ („პრავდა“). სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა წინადადება მისცა ყველა კანტორასა და განყოფილებას, რომ მებოსტნეობისა და მესაქონლეობის მეურნეობათა მოსაწყობად სამრეწველო საწარმოებს კრედიტის ანგარიშში ავანსად მისცენ 100 ათასამდე მანეთი.

როდესაც არის მიწა და სათანადო რესურსები, თვითეულ ფაბრიკასთან, თვითეულ ქარხანასთან მებოსტნეობა - მერძეობის დამხმარე მეურნეობათა მოწყობის საქმე მთლიანად დამოკიდებულია იმ ადამიანთა შერჩევაზე, რომლებიც სათავეში უნდა ჩაუდგნენ დამხმარე საწარმოებს და ბოლშევიკური მგზნებარებითა და ენერგიით წარუძღვნენ საქმეს.

ამ მხრივ მისასალმებელია № 7 მკერავის ფაბრიკის მუშაკთა ამხ. ა. დოლგოვის, ს. ვასილიევისა და ვ. უსტინოვას მაგალითი. ამ ამხანაგებმა სურვილი გამოსთქვეს და დიდი მზრუნველობით უვლიან მეღორეობის დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად შეძენილ 2 დედა—ღორსა და გოჭ

უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკების

მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება

ჩვენი სიტყვა და საქმე

შარშან აპრილში სიღნაღის რაიონის ქვემო-ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას ეწვივნენ უკრაინის სსრ ზოლოტონოშის რაიონის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე დამიანები ს. ტკაჩენკო, კ. ბერიოზა, ს. ჟოვნერი და ს. ვოსკობოინიკი, რომლებიც დაწვრილებით გაეცნენ ჩვენს ცხოვრებასა და მუშაობას და გვიამბეს მათს გამოცდილებაზე. სოციშეჯიბრების ხელშეკრულებით, რაც უკრაინელ კოლმეურნეებს ჩამოსვლასთან დაკავშირებით ამ ორ კოლმეურნეობას შორის დაიდო, ჩვენ ვიღებდით ვალდებულება გაგვეღიდებინა მოსავლიანობა, სულადობის ზრდასთან ერთად აგვეწია პირუტყვის პროდუქტიულობა და საერთოდ უკეთ მოგვეწყო საკოლმეურნეო წარმოება.

სოციშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას სერიოზულად მოვკიდეთ ხელი და ამ მხრივ კარგ წარმატებასაც მივაღწიეთ. გასული წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ჩვენ გადმოგვეცა საქ. მიწსახკომის და გაზეთ „კომუნისტის“ მიერ დაწესებული რესპუბლიკური გარდამავალი დროშა, ავრეთვე გავხდით 1940 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე.

სოციშეჯიბრების ხელშეკრულების დადების დროს ჩვენ 80 ცხენი გვყავდა, ახლა კი გვყავს 143, შარშანდელი და წლევანდელი ნამატი ყველა ინგლისურ-ყაბარდოული ჯიშის მეტისია. მიწის ფართობის მიხედვით მთავრობის მიერ დაწესებული გეგმით ჩვენ 60 ცხორა და 300 ცხვარი უნდა გვყავდეს. სინამდვილეში კი ფერმებში გვყავს 300 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. მათგან 100 ძროხა, ავრეთვე 5000 სული ცხვარი რამბულიეს მეტისების ნამრავლით და 70 ღორი (მათში 18 დედაღორია).

პირნათლად ვიხდით სახელმწიფო ვალდებულებებსაც. წელს 3.600 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩავაბარეთ 12.000 კილოგრამი მატყლი. აგრეთვე თავისუფალი დამზადების წესით მივყიდეთ 1000 კილოგრამი ყველი და 1200 კილოგრამი ხორცი.

წინათ ჩვენ მევენახეობას არ მივსდევდით. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში კი გავაშენეთ 12 ჰექტარზე ვენახი და 2,5 ჰექტარზე ბაღი.

უკრაინელ კოლმეურნეთა გამოცდილებამ დიდად შეგვიწყო ხელი ქალთა შრომის გამოყენებაში. სოციშეჯიბრების ხელშეკრულების საფუძველზე ავაგეთ და მოვაწყეთ საბავშვო ბაღი, რომელსაც რაიონის კოლმეურნეობათა საბავშვო ბაღებს შორის პირველი ადგილი უჭირავს. ამ ღონისძიების გატარების შედეგად ახლა ყოველდღიურ მუშაობაში 130 ქალი მონაწილეობს, შარშან კი ამის ნახევარიც არ მონაწილეობდა.

ხალხთა სტალინური მეგობრობის ნიშნით მოწყობილმა სოციშეჯიბრებამ ჩვენს კოლმეურნეობაში მრავალი ახალი სტახანოველი გამოავლინა. მაგალითად, მეჯოგე გ. ლეკიაშვილს და გ. ბალარჯიშვილს წელს არცერთი ცვიცი არ მოკედომიათ. მწყემს თურმანლეკიაშვილს ყოველ 100 დედაცხვარზე ამჟამად 95 ბატკანი ჰყავს შენარჩუნებული, მეურმე ნიკა ქოქაშვილმა 9 თვეში წელს 350 შრომადღე გამოიმუშავა. ასეთები აქ მრავალია.

საოქტომბრო საჩუქრების მომზადებისა და ოქტომბრის დღესასწაულზე სტუმრად მიწვევის შესაბებ უკრაინელთა წერილის საპასუხოდ ჩვენ დღითი-დღე ვაძლიერებთ საშემოდგომო ხვნა-თესვას. გეგმით გათვალისწინებულ 315 ჰექტარზე საშემოდგომო ხვნა დავამთავრეთ. აქედან 140 ჰექტარი უკვე დათესილი გვაქვს. ყოველგვარ ზომებს ვღებულობთ, რათა საშემოდგომო ხვნა-თესვა დავამთაროთ ვადამდე და მაღალხარისხიანად და კოლმეურნეობის მთელი პირუტყვი სანიმუშოდ გამოვაზამთროთ.

თ. ტარყაშვილი

სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

პარტიული ცხოვრება

ერთეული კომუნისტები ჩავაბათ პარჭიულ მუშაობაში

(გორი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

რაიონული ცენტრიდან 30-35 კილომეტრის დაშორებით, მთიანი ზონის კოლმეურნეობებში 12 ერთეული კომუნისტი მუშაობს; საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომთან ერთად რაიკომის ინსტრუქტორი ზ. მექვაბიძე მონდომებით ზრუნავს ერთეული კომუნისტების პარტიული განათლების საკითხებზე, აძლევს მათ პარტიულ დავალებებს, ახდენს შესრულების შემოწმებას.

ერთეული კომუნისტი პ. ბალავილი საყავრის სასოფლო-საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეობასთან ერთად, აქტიურად ეხმარება მუშაობაში სოფელ წითელწყაროს კომკავშირის პირველადს ორგანიზაციას.

ინსტრუქტორი მექვაბიძე კმაყოფილებით აცხადებს, რომ მან სწორედ ერთეული კომუნისტების საშუალებით შესძლო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესება მთიანი ზონის სოფლების კოლმეურნეობებში. მაგალითად, სოფელ ზემო ახალსოფლის, წედისა და ღვარების, ფელის კოლმეურნეობებში აგიტატორებად მუშაობენ ერთეული კომუნისტები დ. ბედოშვილი, გ. კოზორვი, ს. ვერულაშვილი, ე. დრიაევი, ისინი ისეთ უმნიშვნელოვანეს პარტიულ დავალებას, როგორიც აგიტატორობა არის, პირნათლად ასრულებენ.

მაგრამ სულტად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა ერთეულ კომუნისტთა ერთ ნაწილში (სულ რაიონში 24 ერთეული კომუნისტია). მათი უმრავლესობა ჩაბმული არ არის აქტიურ პარტიულ მუშაობაში. პარტიულ ცხოვრებას ჩამოშორებული არიან, მაგალითად, ერთეულად მომუშავე კომუნისტები ი. სომხიშვილი (მელვრეკისი), დ. ფიჩხნარაშვილი (არბო), გ. დავითაშვილი (ქარბი), ი. შიუკაშვილი (ცვარხითი), ი. ედიშერაშვილი (ერგნეთი) და სხვები.

ერთეული კომუნისტების დავიწყებამ მეტად ცუდი შედეგი გამოიღო. სოფლად მომუშავე ერთეული კომუნისტები ბ. სურაველი და ა. დედანაშვილი მინდობილი საქმისადმი უპასუხისმგებლოდ მოპყრობისათვის პასუხისგებაშიც კი მისცეს. ცილისწამებისათვის პასუხისგებაში მისცეს აგრეთვე ერთეული კომუნისტი ა. დოთიაშვილი.

სად და როგორ ცხოვრობს, როგორ სწავლობს, რა პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებას ასრულებს ერთეული კომუნისტი,—ეს ზშირ შემთხვევაში არ იცის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებამ. აქ, მაგალითად, ფიქრობდნენ, რომ ერთეულად მომუშავე კომუნისტი ნ. კასრაძე მასწავლებლად მუშაობს სოფელ ქვეშში. შემოწმებით კი გამოირკვა, რომ კასრაძე იქ აღარ მუშაობს. არავინ იცის სად არის იგი ამჟამად. ეს მაგალითი გამონაკლისი არ არის.

ს. ყურაშვილი.

ძირეული პრესის მუშაკთა საქალაქო თათბირი ჭყიბულში

(ტყიბული, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

20 ოქტომბერს ტყიბულის რაიონის პარტკაბინეტში ჩატარდა გაზ. „კომუნისტისა“ და „ტყიბულის მაღაროელის“ მუშსოფლკორთა და ძირეული პრესის მუშაკთა საქალაქო თათბირი.

თათბირის დღის წესრიგში იდგა: საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება რაიონული გაზეთების შესახებ და მუშსოფკორთა შორის მუშაობის ამოცანები. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. შ. კოპალეიშვილი.

მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. შ. გოცირიძემ, ა. რიჟამაძემ, შ. ქარქაშაძემ, მ. ჩხეიძემ და სხვებმა. მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ რაიონული გაზეთის შრომის ნაყოფიერება 26 ივნისის ბრძანებულების შემდეგ გაიზარდა მუშსოფკორთა მონაწილეობა რაიონულ გაზეთში. თუ დადგენილებამდე რედაქცია ყოველთვიურად 50-60 კორესპონდენციას იღებდა, დადგენილების შემდეგ მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

რაიონის საავადმყოფოს კედლის გაზეთის რედაქტორმა ამხ. ა. რიჟამაძემ თათბირს მოუთხრო, თუ როგორ დაეუფლა ის საკედლისგაზეთო მუშაობას ძირეული პრესის მუშაკთა დაუსწრებელ სწავლებაში მეცადინეობის შედეგად. საავადმყოფოში ერთთვიური კედლის გაზეთი გადაკეთებულია ხუთდღიურად. გაზეთი სისტემატურად კარგად გაფორმებული გამოდის და კარგად იბრძვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა განუხრელად გატარებისათვის.

თათბირზე აღინიშნა ისიც, რომ სტალინის სახელობის მაღაროში სუსტად დგას საკედლისგაზეთო მუშაობა და ისიც, რომ რაიონული გაზეთის რედაქცია ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ეხმარება ძირეულ პრესას.

ძირეული პრესის მუშაკთა და მუშსოფკორთა საქალაქო თათბირის მუშაობაში, რომელსაც 47 კაცი ესწრებოდა, მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. პ. ბაქრაძე. თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ძირეული პრესის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

თბილისი. კალინინის სახელობის ჭარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. ლეკსუტკინი (მარცხნიდან მესამე) ესაუბრება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელთ (მარცხნიდან მარჯვნივ): ა. კაუტენ-ჩეის, ა. მარკაროვს, ა. ტეკაძეს, ა. პოპოვს და ა. ჩიეოვს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ესპრალის თეატრის საზამთრო სეზონი

სასცენო ხელოვნების ეს ჟანრი — ესტრადა მაყურებლის დიდი სიყვარულით სარგებლობს. უპირველეს ყოვლისა ეს აიხსნება ესტრადის მრავალფეროვნებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, მასი ოპერატიულობით. ესტრადის ერთ პროგრამაში მაყურებელი იპოვის ცეკვას, სიმღერას, ფელეტონს, გაერთობა ჟონგლიორით, მანიპულატორით, მოისმენს მოსწრებულ კუპლეტებს, ცოცხალ სიტყვას. და ყველაფერი ეს მოკლედ, მცირე დროს დახარჯვით. ამიტომ მაყურებელი ეტანება ესტრადას. მაგრამ რას პოულობს იგი ესტრადის თეატრში?

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ჩვენი, საქესტრადის თეატრი. სამართლე უნდა ვთქვათ: მაყურებელი არ არის კმაყოფილი ესტრადით. და სავსებით მართებულად. ჩვენი ესტრადის მსახიობებს — ჩვენ არ ვლაპარაკობთ გამონაკლისებზე — აკლიათ ოსტატობა, არა აქვთ ახალი საინტერესო რეპერტუარი. ზაფხულში ზშირი იყო მაყურებლის ასეთი, სავსებით მართალი საყვედური: ორჯონიკიძის სახელობის პარკში, ფუნიკულორზე, ესტრადის თეატრში — ყველგან ერთიდაიგივე მსახიობები, ყველგან ერთიდაიგივე „ჩემთან ასული, ჩემთან იცეკვე“, „უომული“, „ლალი“, „ღამია ბნელი“. მაყურებელმა უკვე ზეპირად იცის ეს სიმღერები. გამოჩნდება აქტიორი სცენაზე და უკანა რიგებიდან ბავშვები კონფერანსიეს არ აცლიან ხმის ამოღებას, თვითონ აცხადებენ ნომრებს და—ასე წარმოიდგინეთ — იშვიათად სცდებიან. დრამატიული თეატრები დიდ მუშაობას ეწევიან რეპერტუარის შესაქმნელად, ხანგრძლივად ემზადებიან სეზონისათვის. ესტრადის დარგში რეპერტუარზე არავინ ზრუნავს, სეზონისათვის მზადება პარკების რემონტითა და აფიშების გამოშვებით ამოიწურება. ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

ქართული ესტრადის თეატრი, რომელიც საესტრადო ძალებით ამარაგებს არა მარტო თავის სტაციონარს პლეხანოვის პროსპექტზე, არამედ ყველა კლუბს, პარკს, პერიფერიას, უკვე მეოდგა მუშაობის გარდაქმნას. რა ღონისძიებებს ვატარებთ ჩვენ ამ დარგში?

უპირველეს ყოვლისა წელს, ზამთრის სეზონში თბილისის მაყურებელს მივაწოდებთ საუკეთესოს, რაც საბჭოთა კავშირის ესტრადას მოეპოვება. ჩვენი თეატრის ესტრადის დარბაზში, რომელიც კაპიტალურად გადაკეთდება (დარბაზის, ფოიეს, სცენის გაფართოება, კომფორტაბელურად მოწყობა), თავიანთ ნომრებს უჩვენებენ: ბელოსტოკის ჯაზ-ორკესტრი ედი როზნერის ხელმძღვანელობით, ლვოვის ჯაზ-ორკესტრი ვარსის ხელმძღვანელობით, იზაბელა იურიევა, თ. წერეთელი, გელცერი, ლ. ორლოვა, ი. ნაბატოვი, ლ. გელი თავიანთი ანსამბლებით და ნემჩინსკი-ინაროვიჩი (სახასიათო სიმღერები). 1 იანვრიდან იმუშავებს ბაქოს ოპერეტის თეატრი.

ესტრადის სეზონი გაიხსნება 1 ნოემბერს ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის (ხელმძღვანელი ა. ფაღავა) კონცერტით. ანსამბლის რეპერტუარში შევა ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, ასევე ახალი ნომრები, რომლებიც ანსამბლის ხელმძღვანელმა ა. ფაღავამ და მ. ჯაფარიძემ დადგეს.

ამჟამად ესტრადის თეატრი აწყობს ქართულ ჯაზ-ორკესტრს, რომელიც გვიჩვენებს ქართულ რეპერტუარს გადამუშავებულს ჯაზის ყაიდაზე. ეს ერთობ რთული საქმეა, მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავისათვის, მაყურებელს ვუჩვენებთ ნამდვილ ქართულ ჯაზს.

მთავარი ყურადღება ექცევა ჩვენი საკუთარი კადრების გამოვლინებას, მათ გაწრთვნას და მათთვის რეპერტუარის შექმნას. ახლახან ჩატარდა ესტრადის მსახიობთა კონკურსი, რომელშიც 60-ზე მეტმა მსახიობმა და ანსამბლმა მიიღო მონაწილეობა. საინტერესო ნომრებთან და შესრულებლებთან ერთად ჩვენ ვნახეთ საინტერესო მასალების მკრნე მსახიობი სუსტი შესრულებითა და ერთფეროვანი, ზშირად მიუღებელი რეპერტუარით. ძირითადი შთაბეჭდილება ასეთი იყო: მათთვის არავინ ზრუნავს. კონკურსზე ესტრადის თეატრმა შეარჩია ასეთი ღონისძიებანი: ესტრადის მსახიობთათვის ჩვენს თეატრში მოეწყობა სამეცადინო ოთახი. ჩვენ გვეყოლება კონსულტანტები. სიმღერისა და ცეკვის დარგებში, დავუკვეთავთ კომპოზიტორებს მუსიკას, პოეტებს — ტექსტს. ერთი სიტყვით ყოველგვარ ღონეს ვიხმართ, რომ შევუქმნათ ახალი რეპერტუარი მსახიობებს. უნდა მივაქციოთ ყურადღება შესრულებას, ოსტატობას. ნომრის გაკეთებას. აქ საჭიროა გამოცდილი რეჟისორის ხელი და თვალი. ამ მხრივაც ჩვენ დავეხმარებით მსახიობებს.

მაგრამ ყველაფერი ეს მაინც არ არის საკმარისი. უპირველეს ყოვლისა საჭიროა თვით მსახიობებმა იმუშაონ თავიანთ თავზე. განა ცოტა ნომინანები აქვთ დაწერილი ჩვენს კომპოზიტორებს? რატომღაც ეს ნომინანები არ გვესმის სცენიდან. ბევრი მსახიობი არ იწუხებს თავს ახალი ნომრების შესწავლით, კმაყოფილდება საოპერო არიებით, რაც უმეტესობას სასწავლებელში აქვს შესწავლილი. ესტრადა კი თავისებური და იგი მოითხოვს ყოველდღე ახალ-ახალ ნომრებს, რეპერტუარის სიმდიდრეს. უნდა იმუშაონ მსახიობებმა შესრულებაზე. როგორ უნდა მოვაწყოთ ეს? სრულიად ადვილად. ესტრადაზე გავუშვებთ მხოლოდ იმათ, ვინც მუშაობს, ვინც გამოირჩევა ოსტატობით, ორიგინალობით, ჯანსაღი რეპერტუარით.

ასეთი გეგმებით, ასეთი პერსპექტივით ვიწყებთ საზამთრო საესტრადო სეზონს. იმავე დროს ეს იქნება მზადება ზაფხულისათვის, როცა განსაკუთრებით ფართო გასაქანი ეძლევა საესტრადო ხელოვნებას.

ლ. კავსაძე.

საქესტრადის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

ჩვენი მაჩვენებლები

კაშენკა-დნეპროვსკაიას და ზესტაფონის რაიონების კოლმეურნეობებს შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში სოფ. კინოთის (ზესტაფონის რაიონი) დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობამ შემდეგ მაჩვენებლებს მიაღწია:

სიმინდის მოსავალი შარშან თვითეულ ჰექტარზე მივიღეთ 14 ცენტნერი, 1 ცენტნერით მეტი, ვიდრე ხელშეკრულებით გვქონდა ნაკისრი.

ბევრად უკეთესი მაჩვენებლები გვაქვს ვიღებთ საშუალოდ 60 ცენტნერ ყურძენს. კერძოდ დავით ვასაძის ბრიგადა ჰექტარზე წელს 65 ცენტნერ ყურძენს იღებს. ნიკოლოზ ძაბირაძის ბრიგადამ შარშან თითო ჰექტარიდან მიიღო 14 ცენტნერი სიმინდი, წელს კი, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, მოსავალი აიყვანა 17 ცენტნერამდე.

მოვაწყეთ მსხვილფეხა რქიანი საქონლის, ღორების და ცხვრის ფერმები.

ჩვენი კოლმეურნეები შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ. გვაქვს საკოლმეურნეო კლუბი, სადაც კოლმეურნე ახალგაზრდები ზშირად მართავენ კონცერტებს და წარმოდგენებს. სოფლად გაგვყავს კარგი გზები. ჩვენი მოურიავე კოლმეურნეები—ლუბა ძაბირაძე, ნიკოლოზ მუმლაძე, ირაიდა ვასაძე და სხვები, რომელთაც წელს 260—300 შრომადღე აქვთ გამომუშავებული, აყენებენ საკითხს იმის შესახებ, რომ მომავალი 1941 წლისათვის კვლავ გავაგრძელოთ შეჯიბრება უკრაინელებთან და გამოვიწვიოთ შეჯიბრებაში კამენკა-დნეპროვსკაიას რაიონის ერთერთი მოწინავე კოლმეურნეობა.

გრიგოლ ძაბირაძე

სოფ. კინოთის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ჩვენი სოფლის ისტორიიდან

ბოლშევიკური აგიტაციის საკითხები უკეთესად გავაშუქოთ

ვ. ქიქნაძე

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბეჭდვითი სიტყვის და გამომცემლობის სექტორის გამგე

ლენინ-სტალინის დიადი პარტია ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს ბოლშევიკურ აგიტაციას. განსაკუთრებით აშკარად უაღრესად დიდი ამოცანებია დასახული ბოლშევიკური აგიტაციის წინაშე. ეს ამოცანები უპირველეს ყოვლისა გამომდინარეობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებებიდან. ამ საქმეში განსაკუთრებით თვალსაჩინო ადგილი უჭირავს პრესას.

ლენინი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის დღეებში მასების ეკონომიურად აღზრდის მხრივ პრესის წინაშე აყენებდა ამოცანას, რათა გაზეთებს განსაკუთრებული ყურადღება გაემახვილებინათ მასებში შრომითი დისციპლინის განმტკიცებაზე, ებრძოლნათ სოციალისტური შრომის დეზორგანიზატორების წინააღმდეგ. „მშრომელთა თვითდისციპლინის განსამტკიცებლად ჩვენს პირველ და მთავარ საშუალებას... უნდა წარმოადგენდეს პრესა...“, —სწერდა მაშინ ლენინი. პრესის ფურცლებზე იმგვარად უნდა მოეწყოს საავტაციო მუშაობის გაშუქება, რომ ის ხელს უწყობდეს მასების კომუნისტურად აღზრდას, რაზავდეს მათ კომუნიზმის დიადი ამოცანების განსახორციელებლად.

ჩვენმა რაიონულმა გაზეთებმა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადასაჭრელად მასების დარაზმვისათვის, ეწევიან რა ამისათვის პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა ბოლშევიკურ აგიტაციას.

მრავალად შეიძლება დავასახელოთ ისეთი რაიონული გაზეთები, რომლებიც იჩენენ ინიციატივას, აყენებენ ახალ საკითხებს, ეძებენ ბოლშევიკური აგიტაციის ახალ ფორმებსა და მეთოდებს, რათა მიმზიდველად დაიყვანონ მშრომელთა შეგნებამდე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი, რათა უკეთ დარაზმონ რაიონის მშრომელები მათს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

განსაკუთრებით დიდი გამოცდილება დააგროვეს ჩვენმა რაიონულმა გაზეთებმა სსრკ, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს. ეს გამოცდილება ყოველდღიურად უნდა მდიდრდებოდეს და ფართოვდებოდეს. ამ გამოცდილების გამოყენებას განსაკუთრებით ცხოველმყოფელი მნიშვნელობა ენიჭება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შემდეგ.

გაზეთები უნდა ეძებდნენ საინტერესო თემებს ბოლშევიკური აგიტაციის საკითხებზე, მიმზიდველად და ცოცხლად უნდა სწერდნენ მათზე. ბოლშევიკური აგიტაციის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებაში უსათუოდ დადებითი გამოცდილება აქვს ფოთის გაზეთს „მგზნებარე კოლხიდელს“. ის თავის ფურცლებზე ფართოდ აშუქებს აგიტაციის საკითხებს, თავის მკითხველებს უწევნებს საუკეთესო აგიტატორების გამოცდილებას და აყენებს აგიტაციის ფრიად აქტუალურ საკითხებს.

ცნობილია, რომ აგიტატორის საუბარი მაშინ აღწევს საჭირველ შედეგს, როცა თვითეული მისი დებულება ილუსტრირებულია ადგილობრივი ფაქტებით. ლენინი ამბობდა, ჩვენ გვინდა ფაქტებით აგიტაციაო. ვიცით, ადგილობრივი, ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული ფაქტი მშრომელისათვის ყველაზე უფრო გასაგებია, ის აგიტატორის საუბარს ცხოველმყოფელსა და მიმზიდველს ხდის; „მგზნებარე კოლხიდელმაც“ აგიტატორებს წინაშე დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ საუბრებში ადგილობრივი ფაქტები გამოყენებინათ და განეზოგადებინათ. გამოქვეყნებულ წერილებსა და კორესპონდენციებში გაზეთი უჩვენებდა თუ როგორ უნდა ადგილობრივი ფაქტების გამოყენება, თუ როგორ ახლოებულა და გასაგებს ხდის ეს თვითეული მსმენელისათვის აგიტატორის საუბარს.

გაზეთი „მგზნებარე კოლხიდელის“ ფურცლებზე განსაკუთრებული შინაარსის გახდა საავტაციო მუშაობის ჩვენება 26 ივნისის ბრძანებულების შემდეგ. „მგზნებარე კოლხიდელმა“ მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებათა მაგალითზე უჩვენა ბოლშევიკური აგიტაციის ძალა ბრძანებულების განხორციელებისათვის.

ინიციატივიანი გაზეთია გორის რაიონული გაზეთი „სტალინელი“, რომლის ფურცლებზეც 1940 წლის განმავლობაში აგიტაციის საკითხებზე დაიბეჭდა 38 კორესპონდენცია.

მოწინავე გაზეთების რიცხვს ეკუთვნიან რაიონული გაზეთები „ლენინის დროშა“ (მახარაძე), „სოციალისტური შეტევა“ (სამტრედია), „კოლმეურნე“ (სიღნაღი) და სხვ. ეს გაზეთები ცალკეულ კორესპონდენციებში უჩვენებენ თუ როგორ იბრძვიან აგიტატორები 26 ივნისის ბრძანებულების განსახორციელებლად. გაზეთ „სოციალისტურ შეტევაში“ აგიტაციის საკითხებზე სწერენ რაიონის პარტიული ხელმძღვანელი მუშაკები. გაზეთმა სამი მოწინავე დაბეჭდა რაიონში 26 ივნისის ბრძანებულების განხორციელების მიმდინარეობის საკითხებზე. გაზეთმა 1 სექტემბერს დაბეჭდა კორესპონდენცია: „26 ივნისის ბრძანებულება და კედლის გაზეთები“. ამ კორესპონდენციაში გარჩეულია რაიონის მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებათა კედლის გაზეთები, ცოცხლად გაკეთებულ მასალაში ნაჩვენებია თუ როგორ აშუქებენ კედლის გაზეთები 26 ივნისის ბრძანებულების განხორციელებას, გაკრიტიკებულია იმ კედლის გაზეთების რედაქტორები, რომლებიც უმოქმედობას იჩენენ.

რასაკვირველია, ჩვენ მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ყველა რაიონული გაზეთი საავტაციო მუშაობის საკითხებს კარგად აშუქებს. მთელი რიგი რაიონული გაზეთების შესწავლამ დავარწმუნა, რომ ბევრმა მათგანმა ბოლომდე ვერ გაიგო თავისი ამოცანა. ისინი დაკმაყოფილდნენ იმით, რომ გამოაქვეყნეს რამდენიმე სტრიქონიანი შენიშვნა იმის შესახებ, თუ როგორ გაიხარდა შრომის ნაყოფიერება 26 ივნისის კანონის შემდეგ, ხოლო ბევრმა რაიონულმა გაზეთმა სრულიად დაივიწყა საავტაციო მუშაობის საკითხები ამ ბრძანებულებასთან დაკავშირებით, არ იჩენს ინიციატივას, არ ეძებს საინტერესო მასალებს. ხოლო თუ დასწერენ რასმე საავტაციო საკითხებზე, ეს წერილები მეტად უფერულია, ამ წერილებში არ სჩანს გამოცდილება, ისინი ვერ რაზმავენ მასებს. აქ უნდა ითქვას ყვარლის რაიონული გაზეთის „ლენინური გზით“-ის მუშაობაზე: 1940 წლის განმავლობაში გაზეთს არც-ერთი მოწინავე სტატია არ მოუცია აგიტაციის საკითხებზე. კორესპონდენციები, რომლებსაც გაზეთი ბეჭდავს, გაკეთებულია ზერელედ, უსიცოცხლოდ.

ცალსახოვად აშუქებს საავტაციო საკითხებს ჭობულეთის რაიონული გაზეთი „ჭობულეთელი კოლმეურნეც.“ მთელი წლის განმავლობაში საავტაციო მუშაობის საკითხებზე გაზეთმა 5 კორესპონდენცია დაბეჭდა და ყველა ისინი მხოლოდ ნაკლოვანებებს ეხება, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი დადებითს მუშაობაზე. აი ამ კორესპონდენციების სათაურები: „დაივიწყეს აგიტმუშაობის შესახებ“, „დაივიწყეს აგიტმუშაობა“, „შეასუსტეს აგიტმუშაობა“, „საავტაციო მასობრივი მუშაობა დაივიწყეს“. აქედან აშკარად სჩანს, თუ რა უფერულად აშუქებს გაზეთი საავტაციო მუშაობის საკითხებს.

პასპორტების გამოცვლა თბილისში

1 სექტემბრიდან ქალაქ თბილისის მილიციის ყველა განყოფილებაში მიმდინარეობს პასპორტების გამოცვლა. დღეისათვის უკვე 5.000-ზე მეტ თბილისელს მიღებული აქვს ახალი პასპორტი—5 წლით და უვადოთ.

ეს მუშაობა ყველაზე უფრო სანიმუშოდ არის დაყენებული მილიციის მე-5 განყოფილებაში. (უფროსი ამხ. გორდეზიანი), მე-3 განყოფილებაში (ამხ. კალანდაძე) და მე-11 განყოფილებაში (ამხ. რობაქიძე), სადაც მშრომელი სწრაფად, ზედმეტი დროის დაუხარჯვად იღებენ ახალ პასპორტებს.

მომდინარე წლის დამლეგამდე როგორც განაცხადა მილიციის საპასპორტო-სარეგისტრაციო განყოფილების უფროსმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. ტ. კაკაურიძემ, თბილისში გამოცვლილ უნდა იქნას კიდევ 35 ათასამდე პასპორტი. სცენიან იმ პასპორტებს, რომლებიც გაიცა 1935 წელს, აგრეთვე 1939 წელს (ერთი წლის ვადით). ამასთან გამოცვლა ხდება მომდინარე მუშაობის წესით.

რადგან თბილისში მოქალაქეთა დიდმა უმრავლესობამ პასპორტები მიიღო არა 1935, არამედ 1936 წელს, პასპორტების მასობრივი გამოცვლა ჭალაქში დაიწყება 1941 წლის 1 იანვრიდან.

მომავალ წელს საქართველოს სსრ დედაქალაქში გამოცვლილ უნდა იქნას 325 ათასზე მეტი პასპორტი. ამ მუშაობის სამზადისი უკვე გაჩაღებულია. ქალაქის საწარმოებში დაიწყო ფართო მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, მართავენ საუბარს, აძლევენ კონსულტაციას და სხვ. ამავე მიზნით იყენებენ რადიოგადაცემას.

პასპორტებითა და სტანდარტული ცნობებით თბილისი სავსებით უზრუნველყოფილია. მილიციის განყოფილებებში უკვე შედგენილია სიები ეზოების მიხედვით. ეს სიები ცალკე სახლთა-სამფლობელოების მიხედვით განაწილდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

სოფ. ცაიში (ხუგდიდის რაიონი) ურთის მთის კალთებზე ნაპოვნია ძველებური ქვევრის მსგავსი სამარხები, რომლებიც განეკუთვნება პირველ ათასწლეულს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, აგრეთვე ძველი დაბების ნაშთი კულტურული ფენების სახით, რაც შეიცავს კერამიკას, ცხოველთა ძვლებს, ქაეის ნატეხებს, რომელიც განეკუთვნება პირველ ათასწლეულს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ გამოკვლევას მომავალ წლებშიც განაგრძობენ. (საქდესი).

ნეოლითური კულტურის ნაშთი დასავლეთ საქართველოში

თბილისს დაბრუნდა სსრ კავშირის ჩუნინერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ნინო ხოშტარია, რომელიც არქეოლოგიურ კვლევას აწარმოებდა დასავლეთ საქართველოში მდინარე ენგურის მარცხენა ნაპირზე და მდინარე ხობის სათავეში. ზუგდიდის რაიონის სოფ. ურთაში აღმოჩენილია ახალი ნეოლითური სადგომი. ნაპოვნია თლილი და გახეხილი ქვის იარაღი—სატეხი და თოხისებრი პრიმიტიული კერამიკა, ქაეის ნატეხი. სადგომი მიეკუთვნება სულ ცოტა მესამე ათასწლეულის დამდეგს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

სოფ. ცაიში (ხუგდიდის რაიონი) ურთის მთის კალთებზე ნაპოვნია ძველებური ქვევრის მსგავსი სამარხები, რომლებიც განეკუთვნება პირველ ათასწლეულს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, აგრეთვე ძველი დაბების ნაშთი კულტურული ფენების სახით, რაც შეიცავს კერამიკას, ცხოველთა ძვლებს, ქაეის ნატეხებს, რომელიც განეკუთვნება პირველ ათასწლეულს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ გამოკვლევას მომავალ წლებშიც განაგრძობენ. (საქდესი).

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

კრეკდეშინისა და შაიდეშინის მოყვარული

„კომუნისტის“ მუშკორი გვწერდა, რომ თბილისის მე-7 სამკერვალო ფაბრიკაში ადგილი აქვს შესაკერად მიღებული ჭოვილების ნაცრობა-მეგობრებზე გბლვას, რაც კანონით სასტიკად არის აკრძალული.

ფაბრიკის „კანტორის მუშაკები“ ქ. ბუთურლინაძე, საააკაე, ფხაკაძე, ბაღდონავი, პერტენავა, ბახტაძე, ბოდლოვი, ედიშერ

ქობულეთის რაიონის საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღებას!

ქობულეთის რაიონის საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან, ყოველი ნომრის გამოსვლისთანავე გაეცნონ ჩვენი გაზეთის შინაარსს.

ქობულეთის რაიონის საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ყოველი ნომრის გამოსვლისთანავე უნდა გაეცნონ ჩვენი გაზეთის შინაარსს.

ქობულეთის რაიონის საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს!

ქობულეთის რაიონის საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან, ყოველი ნომრის გამოსვლისთანავე გაეცნონ ჩვენი გაზეთის შინაარსს.

ქობულეთის რაიონის საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ყოველი ნომრის გამოსვლისთანავე უნდა გაეცნონ ჩვენი გაზეთის შინაარსს.

ქობულეთის რაიონის საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანო

„ოქტომბერი“

გამოდის კვირაში 3 ჯერ

1940-41 წ.წ.



23 ოქტომბერი — 24 ოქტომბერი

ქობულეთი-ბათუმი — 3 ს. 30 კ.

ქობულეთი-ბათუმი — 3 ს. 30 კ.

24 ოქტომბერი — 25 ოქტომბერი

ქობულეთი-ბათუმი — 3 ს. 30 კ.

ქობულეთი-ბათუმი — 3 ს. 30 კ.

25 ოქტომბერი — 26 ოქტომბერი

ქობულეთი-ბათუმი — 3 ს. 30 კ.

ქობულეთი-ბათუმი — 3 ს. 30 კ.

ქობულეთის რაიონის საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს!

ქობულეთის რაიონის საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან, ყოველი ნომრის გამოსვლისთანავე გაეცნონ ჩვენი გაზეთის შინაარსს.

ქობულეთის რაიონის საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ყოველი ნომრის გამოსვლისთანავე უნდა გაეცნონ ჩვენი გაზეთის შინაარსს.

ქობულეთის რაიონის საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანო

„ოქტომბერი“

გამოდის კვირაში 3 ჯერ

1940-41 წ.წ. ნომერი 8841